პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 მარტი, კვირა, 1988 წ.
№ 51 (9718) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალო! მოსკოვია?

ტელეფონის ამ ზარს მოსკოვში არ ელოდნენ. შაბათი და კვირა ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრალურ ინსტიტუტში (ციტო) შედარებით მშვიდი დღეებია და უმთავრესად მნახველებს ეთმობათ. მორიგე ექიმებისა და მედპერსონალის გარდა ამ დღეებში იქ არავინ არის და ამიტომ რაიმე ცნობის მიღება შეუძლებლად მიგვაჩნდა.

ცნობა კი მართლაც გვჭირდებოდა ჩვენს სახელოვან ძიუდოისტ კობა კურტანიძეზე, როშლისფვისაც მენისკის ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ. ამ სატელეფონო საუბრის იღეა გაზეთის მკითხველებმა მოგვაწოდეს. რედაქციამ რამდენიმე წერილი მიიღო, რომელშიც გულდასმით გვთხოვდნენ შეგვეტყობინებია გაიკეთა თუ არა კურტანიძემ მუხლის ოპერაცია და რა დღეში იყო ახლა.

ტელეფონის ყურმილი ბედნიერი ხელით ავიღეთ და... რამდენიმე წუთში უკვე ვესაუბრებოდით კობა კურტანიძის მწვრთნელს ანზორ ქიბროწაშვილს. პირველი შეკითხვა, ცხადია, მოკითხვისა იყო:

— როგორ ხართ, თავს ხომ მხნედ გრძნობთ?

— არაფერი გვიშავს, ჩვენთან ყველაფერი რიგზეა.

— ოპერაცია უკვე გაკეთდა?

— ათ მარტს მოთავდა ყველაფერი.

— დიდხანს გრძელდებოდა?

— მხოლოდ 45 წუთს.

— რა გუნებაზეა კობა?

— უკეთესს ვერც ინატრებთ.

მენისკი სპორტსმენისთვის ტიპური დაავადებაა, რომელსაც ამ ინსტიტუტში ბრწყინვალედ კურნავენ. აქ მთელი სკოლაა შექმნილი სპორტული ტრავმატოლოგიის დარგში, რომელსაც წლების მანძილზე სახელოვანი დასტაქარი ზოია მირონოვა ხელმძღვანელობდა. იგი დღესაც მთავარი სპეციალისტია, კონსულტანტი, მაგრამ კობას ოპერაცია მისმა ვაჟმა, პროფესორმა სერგეი პავლეს ძე მირონოვმა გაუკეთა...

...მენისკი, კობა კურტანიძეს კარგა ხანია აწუხებდა. ხან ტრავმა მეტად იჩენდა თავს, ხან ნაკლებად, მაგრამ ეს კი იყო — მთელი ძალით ჭიდაობის უფლებას, აგერ უკვე რამდენი ხანია, არ აძლევდა. ბევრჯერ გადაწყვიტა ოპერაციის გაკეთება, მაგრამ გადასდო. ბოლო საკავშირო ჩემპიონატზე ნატკენი ფეხით იჭიდავა, მაგრამ მაინც გაიმარჯვა.

წლევანდელი სპორტული სეზონი ოლიმპიურია და სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტა...

საუბარს ანზორ ქიბროწაშვილთან ვაგრძელებთ:

— ექიმები რას ფიქრობენ, როდის შესძლებს ვარჯიშის განახლებას?

— კობაზეაო დამოკიდებული.

— თვითონ როგორ ფიქრობს?

— თბილისის საერთაშორისო ტურნირისთვის მზად ვიქნები, მერე კი ოლიმპიადისთვის სამზადისს შევუდგებიო.

— მოწყენილი ხომ არ არის?

— რა მოაწყენს, როცა „ნახევარი საქართველო“ აქა ვართ. აგე ჩემს გვერდით დგას ძიუდოს ნაკრები გუნდის უფრო მწვრთნელი შოთა ხაბარელი. ათიოდე წუთის წინ წავიდნენ საავადმყოფოდან კობას სანახავად მოსული გია თენაძე და აკაკი კიბორძალიძე. გუშინ ჩვენი ავადმყოფი ლერი ნაკანმა, ამირან ტოტიკაშვილმა და ვახტანგ ჯაფარიძემ მოინახულეს...

მოჭიდავეებმა კარგი შეგობრობა იციან, მაგრამ ჩვენს ძიუდოისტებს მოსკოვში სხვა საქმეც ჰქონიათ. ისინი (უფრო სწორედ საბჭოთა კავშირის ნაკრები), გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრებიან. გუნდი შოთა ხაბარელს მიჰყავს. ნაკრებში ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ძიუდოისტებთან ერთად ხუთი ქართველი მოჭიდავეა ჩარიცხული — ამირან ტოტიკაშვილი (60 კგ), ვახტანგ ჯაფარიძე (65 კგ), გია თენაძე (71 კგ), ლერი ნაკანი (78 კგ) და აკაკი კიბორძალიძე (მძიმე).

ახლა შოთა ხაბარელს ვეკითხები:

— რა იმედებს ამყარებთ ამ ტურნირზე?

— პოტსდამში ევროპის თითქმის ყველა უძლიერესი ძიუდოისტი ჩამოვა. ოლიმპიურ სეზონში ძალებს არავინ „შალავს“, ამიტომ აქ ყველა შეეცდება თავისი უნარი ბოლომდე გამოამჟღავნოს, ჩვენც ასეთი სურვილებით მივემგზავრებით...

— მაგრამ კობას გარეშე.

— კობა დარწმუნებული ვარ, მალე შემოგვიერთდება, ყოველ შემთხვევაში ექიმები ამის სრულ იმედს იძლევიან.

— მაშინ გისურვებთ წარმატებას, ავადმყოფს კი ჩვენგან მოკითხვა გადაეცით.

გურამ ნადირაძე.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

4 ქულა 4 შესაძლებლიდან

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მინსკი) 2:1 (2:1)

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 11 მარტი.

თბილისი: გაბელია, კეტაშვილი, ცვეიბა, ჭედია, გუბაზი, ტყებუჩავა, სვანაძე, სულაქველიძე, ქეცბაია (ფანცულაია, 67), გურული, მესხი (გ. ჯიშკარიანი, 62).

მინსკი: საცუნკევიჩი, როდნენოკი, გომონოვი, იანუშევსკი, შიროკი (ფურკინი, 57), ზიგმანტოვიჩი, გოცმანოვი, კისტენი (დერკაჩი, 46), ალეინიკოვი, შალიმო, კონდრატიევი.

მსაჯი: ა. ბარიშნიკოვი (მოსკოვი).

ჩვენმა კორესპონდენტმა პირველი ტაიმის დამთავრების შემდეგ მცირე კომენტარი სთხოვა თბილისის „დინამოს“ ყოფილ მოთამაშესა და მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **გივი ჩოხელს.**

— **ჩვენი გუნდის თამაშში, — თქვა ვეტერანმა, — აშკარა პროგრესი იგრძნობა მოთამაშეთა ფიზიკური მომზადებისა და საბრძოლო თვისებების მკვეთრი გაუმჯობესების თვალსაზრისით. მინსკელებთან მეტად ძნელი მატჩის პირველი ნახევარი თბილისელებმა მაქსიმალური მობილიზებით ჩაატარეს, დაღლილობა არც ერთი მათგანისთვის არ შეგვიტყვია, მართალია, სტუმრებმა რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა განახორციელეს, ოთარ გაბელიასაც ძალზე ძნელი ბურთის მოგერიება მოუხდა კისტენის ძლიერი დარტყმის შემდეგ, მაგრამ ეს, ჩემი აზრით, მხოლოდ ეპიზოდი იყო. თბილისელები ტაიმის განმავლობაში საფუძვლიანად ფლობდნენ ინიციატივას.**

მართლაც, მთელი ტაიმი ეპყრათ უპირატესობა მასპინძლებს მეტოქესთან, რომელიც ბოლო რამდენიმე წელია საბჭოთა ფეხბურთის ავანგარდში იმყოფება. ეს იოლი საქმე არაა. მინსკის „დინამო“, რომელიც უახლოეს ოთხშაბათს ევ-

იხ. მე-3 გვ.

გუშინ თბილისის სახელმწიფო ცირკის არენა კვლავ დაეთმოთ ქართული ჭიდაობის მოყვარულებს. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზის გათამაშების მორიგ ტურში ერთმანეთს შეხვდნენ მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის, სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის, ქარელის რაიონის სოფელ ფცის, საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდის, გორისა და წუნეთის მოჭიდავეები.

ხალიჩაზე პირველად ფცისა და გიორგიწმინდის ფალავნები გამოვიდნენ. 5:3 გაიმარჯვეს გიორგიწმინდელებმა, შემდეგ ტიბაანისა და წილკნის წარმომადგენლები წარსდგნენ მაყურებელთა წინაშე. აქ წილკნელთა უპირატესობა აშკარა იყო, მათ ყველა შეხვედრა მოიგეს — 9:0. გორისა და წუნეთის შეხვედრა გორელთა გამარჯვებით ანგარიშით 7:2 დამთავრდა.



სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის II ტურის რამდენიმე შეხვედრა.

„შახტიორი“ — „დინამო“ კ. 1:1

„დნეპრი“ — „მეტალისტი“ 1:1

„ჩერნომორეცი“ — „ქაირათი“ 1:0

14 მარტი თეატრის საერთაშორისო დღეა

თეატრი და... სპორტი!

ბი-იანი წლებიდან დაწყებული საქართველოში თითქმის ყველა თეატრს თავისი ფეხბურთის გუნდი ჰყავდა. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ რუსთაველის, მარჯანიშვილის, ოპერის, მოზარდ მაყურებელთა ქართული, გრიბოედოვისა და სომხური თეატრების გუნდები. მათს ბაზაზე შეიქმნა „ხელოვნების მუშაკთა კავშირის გუნდი“, რომელმაც 1938 წელს ქალაქის პირველობაში მიიღო მონაწილეობა და პირველი ადგილიც დაიკავა. ამავე წელს გაიმართა თასის გათამაშება თეატრების გუნდებს შორის. გაიმარჯვა მარჯანიშვილის თეატრმა. თასი მარჯანიშვილელთა კაპიტანს ვალიკო ქურხულს საზეიმო ვითარებაში გადასცა ბორის პაიჭაძემ. ვალიკო ქურხულისავე მოგონებით, ეს თასი ბროლისა იყო, ბრინჯაოს ლომის თავებით შემკული. იგი ამჟამად ზუგდიდის თეატრის მუზეუმში ინახება.

ფეხბურთმა მთელი თეატრალური სამყარო მოიცვა. თამაშობდნენ თითქმის ყველა წოდებისა და დამსახურების მსახიობები, უკვე პოპულარული და გამოჩენილი მოღვაწენი: ევგენი მიქელაძე და დავით გამრეკელი, პეტრე ამირანაშვილი და ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე და იპოლიტე ხვიჩია, შემდეგში ქართულ ფეხბურთთან სახელგაუყოფელი ეროსი მანჯგალაძე — თავიდანვე ენერგიული მოთამაშე. იხსენებენ ამგვარ შემთხვევას: თამაშობდნენ რუსთაველისა და ქუთაისის თეატრების გუნდები. ქუთაისელთა კარში თერთმეტმეტრიანი დაინიშნა. დარტყმა ეროსის დაავალეს. მან დიდი მანძილით დაიხია უკან, გაექანა და ისე მძლავრად დაარტყა, რომ ბურთი ასცდა კარსაც, სტადიონსაც და მახლობლად მდგარი შენობის ფანჯარა ჩაამსხვრია.

ერთ-ერთი მომდევნო შეხვედრა რუსთაველისა და ქუთაისის თეატრებს შორის 1957 წლის შემოდგომაზე, 10 ნოემბერს ჩატარდა. მატჩი დაძაბულად წარიმართა. იგებდა ქუთაისი — 3:0. შემდეგ ჩარხი შეტრიალდა და მატჩი დამთავრდა ფრედ — 4:4. ქუთაისს გუნდში მე-7 ნომრით იპოლიტე ხვიჩია თამაშობდა. ბურთი თამაშში ემანუილ აფხაიძემ შეიყვანა. ამგვარ შეხვედრებს ბევრი ღიმილი და სიხარული მოჰქონდა.

იხ. მე-3 გვ.

„მზიური“ საკავშირო სარბიელზე იასპარეზებს

როგორც ვიუწყებოდით, თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ ჰოკეისტთა რესპუბლიკურ ტურნირში ალკკ ცენტრალური კომიტეტის კლუბის „ოქროს შაიბის“ პრიზზე პირველობა მოიპოვა თბილისის „მზიურმა“ (მოიგო სამივე მატჩი, შაიბების სხვაობაა 45—9).

ზურათზე — თბილისის „მზიური“: დგანან — გ. ტოროშელიძე, დ. ლოლუაშვილი, გ. ხარაზიშვილი, ი. ლობჟანიძე, მწვრთნელი — ო. დონაძე, გ. დალაქიანი, ი. დავიდოვი, ვ. ჯიბლაშვილი, ზ. ჩიხლაძე; სხედან — ა. ენუქიძე, ა. მიქაძე, ბ. ბიძინაშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

იხ. მე-2 გვ.

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ, ᲣᲦᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ

ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲦᲘᲐᲠ

საკავშირო ბიბლიოთეკა

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ დილიდან გვიან საღამომდე თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონის სარბენი ბილიკები და რვა სპორტული დარბაზი იღებს შვიდასზე მეტ კაცს, რომლებიც იკავებენ ჯანმრთელობას საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფებში.

— ჩვენი მიზანია, — თქვა „დინამოს“ სპორტკომბინატის დირექტორმა ვაჟა ელენტმა, — ვაქციოთ სტადიონი ნამდვილ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრად, თბილისელთა მასობრივი დასვენების ადგილად. სწორედ იმისათვის, რომ ფიზკულტურას მისდევდეს რაც შეიძლება მეტი ადამიანი, ვიყენებთ ისეთ შესაძლებლობას, როგორიც არის მათთვის სპორტული ინვენტარით დახმარების გაწევა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, დასვენების დღეებში კი ცენტრალური არენის სარბენი ბილიკები და სექტორები, სტადიონის წიდოვანი საფეხბურთო მინდორი მთლიანად ეთმობათ საშუალო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს. გახსნილია ჩვენთან სპორტული ინვენტარის გამქირავებელი პუნქტები, უახლოეს მომავალში გაფართოვდება ფასიანი მომსახურების ქსელი.

თუ არც ისე დიდი ხნის წინათ ფიზკულტურელთა ძირითადი მასა გაერთიანებული იყო საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფებში, ახლა მას დაემატა რიტმული ტანვარჯიშისა და ძალოსნური მომზადების ჯგუფები.

ოცი წლის ირინე მალიშევა სულ რამდენიმე თვეა აერობიკას მისდევს.

— ბედნიერად ვთვლი თავს, — აღიარა მან. — ამ დროის მანძილზე დავიკელი ზედმეტი თერთმეტი კილოგრამი.

— მე კი, არა მარტო გავხდი, — ჩაება საუბარში მარინე ჯუღელი,— არამედ განვიკურნე ქოშინისაგან და ყოველივე ეს აერობიკის წყალობით.

დავესწარით ათლეტების წვრთნასაც.

— მაიაკოვსკი წერდა, რომ ახალგაზრდა კაცის საუკეთესო კოსტუმია ბრინჯაოსფერი კუნთები. ძნელია არ დაეთანხმო პოეტს, — თქვა 30 წლის ეკონომისტმა ალექსანდრე ვაჩაძემ, — მაგრამ აქ მარტო ფიგურის „ძერწვისათვის“ როდი მოვდივარ. ვარჯიშის დროს ხშირად ვიხილავთ ხოლმე სპორტის, პოლიტიკის, ხელოვნების ახალ ამბებს. ასე რომ, წვრთნა სულაც არ არის ერთფეროვანი.

—რამდენს იხდით ჯგუფში მეცადინეობისათვის?

— ოთხ მანეთს თვეში. წინათ სიგარეტისა და ლუდისათვის რამდენჯერმე უფრო მეტს ვხარჯავდი.

— იმისათვის, რომ „დინამოზე“ რაც შეიძლება მეტი ფიზკულტურელი მოვდეს, სპორტკომბინატის ხელმძღვანელობა ეწევა პროპაგანდას პრესაში, აკრავს განცხადებებს. და მაინც, შვიდასი კაცი დღეში — ეს ბევრია თუ ცოტა სტადიონისათვის?

— რა თქმა უნდა, ცოტაა, — მიაჩნია ვაჟა ელენტს. — ეს ციფრი შეიძლება მნიშვნელოვნად მეტი ყოფილიყო „დინამოს“ საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს კომბინატის მთავარი ამოცანა „დიდი სპორტის“ მომსახურება რომ არ იყოს. და ჩვენ გვიწევს ბევრი ძალ-ღონე მოვახმაროთ იმას, რომ სპორტსმენები და ფიზკულტურელები ხელს არ უშლიდნენ ერთმანეთს.

როგორც დირექტორი თვლის, ეს პრობლემა გადაიჭრება, თუ სპორტკომბინატს შეუერთდება მის მახლობლად მდებარე ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურის და დასვენების პარკი.

— „გასართობი“ ატრაქციონების ნაცვლად, რომლებიც ყველას მობეზრდა და გულახდილად რომ ვთქვათ, არაფერი სარგებელი არ მოაქვთ, ჩვენი ნება რომ იყოს, ავაშენებდით პარკში ჩოგბურთის მოედნებს, კომბინირებულ სპორტულ მოედნებს, საცურაო აუზებს, სარეაბილიტაციო ცენტრს საუნით და მრავალ სხვას, — მტკიცედ ამბობს ვ. ელენტი.

სხვათა შორის, „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმით გათვალისწინებული იყო სპორტკომპლექსისათვის პარკის გადაცემა, მაგრამ კარგი ჩანაფიქრი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

არის კიდევ ერთი გამოსავალი— გავაფართოოთ ინვენტარის გაქირავება. რესპუბლიკის მთავარი სტადიონი ქალაქის ძველ ნაწილში მდებარეობს. რა თქმა უნდა, ახლომდებარე უბნების მცხოვრებლებს უნდა უხაროდეთ ასეთი მეზობლობა. მაგრამ მაინც, მრავალი მათგანი ატალახებს სხვადასხვა ინსტანციის კარს, მოითხოვს... მათთვის ეზოში სპორტული მოედნების მშენებლობას.



— ამ ფრაზაზე ეტყვა — გადმოჭრა და ჩვენთვის ინვენტარის თხოვნაც კი ეზარებათ,—გულისტკივილით თქვა ვ. ელენტმა.—იძულებული ვართ თვითონ ვიაროთ ეზოეზო, რომ მცხოვრებლებს შევთავაზოთ ჩვენი მომსახურება. ადამიანებში ჯერ კიდევ ძლავრად არის გამჯდარი ინერტულობა.

მეზობლების „გამოცოცხლებისათვის“ სტადიონის კოლექტივმა იკისრა წერეთლის პროსპექტის №41 სახლის მცხოვრებთა შეფობა. გადასცა მათ ველოსიპედები, ჩოგბურთის მაგიდა, ფეხბურთისა და კალათბურთის ბურთები. ახლო მომავალში ეზოში შეიქმნება მოედანი სპორტის სათამაშო სახეობებისათვის. მაგრამ მეზობელი ეზოებიდან ჯერჯერობით არც ისე ხშირად მოდიან გამქირავებელ პუნქტებში.

უკვე სამი წელია, რაც „დინამოს“ სტადიონზე საფეხბურთო მატჩების დროს ეწყობა სპორტული ლატარიის ტირაჟი. გასულ სეზონში სპორტკომბინატმა ამ ლატარიით მიიღო თითქმის 134 ათასი მანეთი წმინდა მოგება, რომელიც სრულად მოხმარდა სტადიონის საჭიროებას. მთლიანად შეკეთდა სახურავები, ზედა იარუსის გადასახურავი, სკამები ტრიბუნებზე, განხორციელდა სხვა სამუშაოები, მთავრდება ტრიბუნების ქვეშ მდებარე საცურაო აუზის კაპიტალური რემონტი. მოწესრიგდა ორივე ელექტროტაბლო, განათების სისტემა, რადიო და სატელეფონო კავშირი, განახლდა გასახდელები, მსაჯების დასასვენებელი ოთახი. განსაკუთრებული ყურადღება დაგუთმეთ საფეხბურთო მინდვრის გაზონს.

ბ. ᲙᲝᲠᲫᲐᲫᲔ,
საქინფორმის კორ.

„ᲛᲖᲘᲣᲠᲘ“ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲖᲔ ᲘᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲔᲑᲡ

ᲓᲘᲚᲔᲢᲐᲜᲢᲝᲑᲐᲨᲘ ნუ ჩაგვითვლით და: შეიძლება გამოხვიდე ფეხბურთელი სტადიონის გარეშე? შეიძლება! შეიძლება გახდე მძლეოსანი მძლეოსნური ბილიკის გარეშე? შეიძლება! მოფარიკავე, ტანმოვარჯიშე, ცხენოსანი... შეიძლება. აი, ჰოკეისტი კი უინულის გარეშე ჯერ არ გაგვიგონია! (ბალახის ჰოკეი არ გვაქვს მხედველობაში).

უნდა გენახათ, როგორ გაიხარეს ჩვენმა ნორჩმა ჰოკეისტებმა, როდესაც თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა უკრაინის ანსამბლი „ბალეტი უინულზე“. უინული ხომ ჩვენს ქალაქში კარგა ხანია თვალით არ უნახავთ არათუ ჰოკეისტებს, არამედ მოციგურავეებსაც. ახლა კი უცებ გაჩნდა ნამდვილი „უინულის სტადიონი“, თითქმის სტანდარტული ზომის ჰოკეის მოედანი, რომელსაც მხოლოდ ორი კარი თუ აკლდა აქეთ-იქიდან. რამდენჯერმე ვარჯიშის საშუალებაც მიეცათ ნორჩებს, მერე შეჯიბრებაც დანიშნეს, ჰოკეისტთა პირველი ოფიციალური ტურნირი თბილისში — ალკა ცენტრალური კომიტეტის საკავშირო კლუბის „ოქროს შაიბის“ პრიზზე.

ქალაქის ქუჩებში ლამაზი აფიშები გაჩნდა, სპორტის სასახლეში რომ იწვევდა გულშემატკივრებს. ცხადია, საქართველოში არსებულმა ყველა გუნდმა გამოთქვა სურვილი ორი წლის შესვენების შემდეგ კვლავ გამოეცადა ძალა თანატოლებთან ასპარეზობაში. ბოგდანოვკელები, ახალციხელები, ახალქალაქელები სიხარულით ჩამოვიდნენ ტურნირზე. ბორჯომის რაიონის, კერძოდ, ბაკურიანის გუნდი კი არ გამოჩნდა. თბილისელებმა ორი გუნდი გამოიყვანეს. ერთი — „ფიროსმანი“ (მ. გორკის სახელობის კულტურის სასახლის გუნდი) — სულ პატარა, ახალბედა ჰოკეისტებით იყო დაკომპლექტებული და, ცხადია, მას ვერც გამოცდილმა სპეციალისტმა, პეტროზავოდსკიდან თბილისში გადმოსულმა მწვრთნელმა ნიკოლაი კოსტრიკოვმა უშველა: 10-10 წლის „ფიროსმანელებმა“ ზედიზედ ორი შეხვედრა წააგეს („ლელო“ უკვე იუწყებოდა ამის შესახებ) თავისზე 2-3 წლით უფროს მეტოქეებთან და ბრძოლას გამოეთიშნენ. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით, რომ თითოეულ გუნდს თავდაპირველად 4-4 შეხვედრა უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ, ვინაიდან უინულის საკონდიციონეროს სასწრაფო დემონტაჟი უნდა მოეხდინათ, ტურნირის ორგანიზატორებმა შეჯიბრება ერთი დღით შეკვეცეს.

ასპარეზობის მეორე დღეს თბილისის „მზიურმა“ კვლავ დიდი ანგარიშით გაიმარჯვა — ამჯერად ახალქალაქის „განთიადთან“ —20:3. ახალქალაქელებმა ამ დღეს მეორე დამარცხებაც იწვნიეს, ასევე დიდი ანგარიშით — 1:16 — წააგეს ახალციხის „ჩირაღდანთან“.

ამრიგად, გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ „მზიური“ და ბოგდანოვკის „ფარვანა“. მეტოქეებს ორ-ორი შეხვედრა ჰქონდათ მოგებული. ანგარიში პირველსავე წუთზე გახსნა მზიურელთა კაპიტანმა ვახტანგ ჯიბღაშვილმა (იგი ბომბარდირთა ბრძოლას ლიდერობდა 14 გოლით). ამას მოჰყვა ტურნირის ერთ-ერთი ტექნიკური მოთამაშის ზაზა ჩიხლაძის მეორე შაიბა და... პირველი პერიოდი „მზიურმა“ მოიგო ანგარიშით 7:0. ეს უკვე, რომ იტყვიან, აშკარა განაცხადი იყო ტურნირში გამარჯვებაზე. ასეც მოხდა: თბილისელთა პირველმა გუნდმა მომდევნო პერიოდებში კიდევ ექვსჯერ აიღო მეტოქის კარი, საკუთარში კი 2 გაუშვა (13:2) და... მეგობრებისა და გულშემატკივრების ტაში დაიმსახურა.

საზეიმო ცერემონიალზე თბილისის „მზიურს“ (ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გუნდი) ტურნირის მთავარი პრიზი (რომელიც გუნდმა ზედიზედ მესამედ დაიმსახურა!) გადასცა საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გიორგი ჭანტურიამ. ბოგდანოვკელს მეორე ჯილდო ერგოთ, ახალციხელებს — მესამე.

ტრადიციულად ჟიურიმ გამოავლინა ტურნირის საუკეთესო მოთამაშეები: მეკარე — ილია დავიდოვი („მზიური“), მცველი — რაფაელ კურგინიანი („ფარვანა“), თავდამსხმელი — ანდრეი ნიკიტინი („განთიადი“), საუკეთესო ბომბარდირის პრიზი, რომელიც „ლელოს“ რედაქციამ დააწესა, გადაეცა ვახტანგ ჯიბღაშვილს („მზიური“) — 19 გოლი. ყველაზე ლამაზი გოლის „ავტორად“ მიჩნეულია ალექსანდრ ტეტერკინი („განთიადი“). ტურნირის ყველაზე ნორჩი მონაწილის პრიზი (იგი გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციამ დააწესა) მიიღო 9 წლის გია ხერკელაძემ („ფიროსმანი“).

მაშ ასე, თბილისის „მზიური“ (მწვრთნელი ომარ დონაძე) მონაწილეობას მიიღებს „ოქროს შაიბის“ კლუბის საკავშირო ფინალურ ტურნირში, რომელიც 22-30 მარტს გაიმართება ხარკოვში.

ᲝᲗᲐᲠ ᲜᲝᲜᲔᲫᲔ.



ვახტანგ ჯიბღაშვილი.

ეს შეტევაც კარის ალებით დაგვირგვინდა.

„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲘ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲯᲘᲑᲦᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

— **ᲰᲝᲙᲔᲘᲡ** ტომსკში ვეზიარე, თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ კი მწვრთნელ ნოდარ დონაძის ხელმძღვანელობით ვვარჯიშობ. მიხარია, რომ ჩემი ყოფილი თანაგუნდელი კოტე ბახუტაშვილი დღეს ცსკა-ს გუნდის მეკარეა. „ოქროს შაიბის“ რესპუბლიკურ ტურნირებში მეოთხედ ვმონაწილეობდი. საინტერესო შეჯიბრება იყო, მაგრამ გულდასაწყვეტია, რომ მაყურებელი, ბაკურიანში ადრე გამართული ტურნირებისგან განსხვავებით, ცოტა გვყავდა. წინა ტურნირზე მე ყველაზე პერსპექტიული მოთამაშის პრიზი მივიღე, ახლა კი საუკეთესო ბომბარდირი გავხდი და თქვენი გაზეთის პრიზი დავიმსახურე. სამწუხაროდ, თბილისში, როგორც იცით, დღესდღეობით უინულის მოედანი არა გვაქვს და უკანასკნელი ვარჯიში (თუ არ ჩავთვლით სამდღიან მეცადინეობას უკრაინიდან „ჩამოტანილ“ უინულზე) თითქმის ერთი წლის წინ გვქონდა... კუიბიშევში, სადაც ჩვენ ასევე „ოქროს შაიბის“ საკავშირო ტურნირში ვმონაწილეობდით.

ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲘᲬᲔᲕᲔᲜ

ᲛᲝᲮᲐᲓᲠᲐᲙᲔ ქალთა 44-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის IX ტურში უურადღება მიიპყრო სოფიკო ტერელაძისა და ეკატერინე ფახიროვას შეხვედრამ. დებიუტშივე შაუებმა პაიკებით გადაკეტეს ცენტრი და დაიწყო რთული მანევრული ბრძოლა. ტერელაძემ პაიკი დათმო და მხედრით ცენტრალური უჯრა დაიკავა. შემდეგ კი პატარა, ეფექტური კომბინაციით ხარისხი დათმო და მეტოქის მეფეს საშმათო მუქარები შეუქმნა. თუმცა სამტრედიელი ოსტატი ციტნტოში მოხვდა და შეტევა არაზუსტად გააგრძელა. ფახიროვა ზუსტად თამაშობდა. ტერელაძემ სვლების განმეორებით მეტოქეს „უსტყვოდ“ შესთავაზა ყაიმი, მაგრამ მეტოქემ მოგებაზე თამაში არჩია, გაცვალა ლაზიერები და ენდშპილში შაებს ზედმეტი ხარისხი დარჩათ, რის შემდეგ არც გაჭირვებიათ პარტიის გამარჯვებამდე მიყვანა.

კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა ოსტატმა ქეთევან კახიანმა, რომელმაც ოსტატ ნინო მელაშვილს სძლია. მეტოქეებმა ჰოლანდიური დაცვის ერთ-ერთი მწვავე ვარიანტი გაითამაშეს. ცენტრში რამდენიმე ფიგურის გაცვლის შემდეგ თეთრებმა პაიკი მოიგეს. მელაშვილმა ხარისხი დათმო, რათა მეორე პაიკიც არ დაეკარგა. მან თეთრების ლაზიერის ფრთის პაიკები აიყვანა, თუმცა მისი მეფე მაინც არასაიმედოდ „იდგა“. მელაშვილი თავგამოდებით იცავდა თავს, მაგრამ პარტიის ხსნა ვერ შეძლო და დანებდა მეტოქეს.

გაიმარჯვა ციალა ქასოშვილმაც. მან თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ნინო ხურციძე დაამარცხა.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ჩაიკოვსკაია-ხუგაშვილი — 0:1, კახაბრიშვილი-სადუნიშვილი — 1:0, გელავა-ქ. მელაშვილი— 0:1, ხუციშვილი-ნიკოლაძე — 1:0, მესხი-ხარლამიდი — 0,5:0,5, კეშულარია-თვაური — 0,5:0,5.

9 ტურის შემდეგ 7-7 ქულით შეჯიბრებას კვლავ ციალა ქასოშვილი და ქეთევან კახიანი უდგანან სათავეში. შემდეგ მოდიან: სოფიკო ტერელაძე, ეკატერინე ფახიროვა, ქეთევან მელაშვილი, იამზე თვაური — 5,5-5,5, თამილა მესხი —5.

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ლიგა

4 ქულა 4 შესაძლებლიდან

(დასასრული)

როპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე შინ უნდა შეხვდეს ბელგიის ძლიერ გუნდს „მეხელენს“ და ნახევარფინალში მოხვედრის კანდიდატია, ახლა მეტად ძლიერი ძალაა, გუნდის შემადგენლობაში მაღალი კლასის ფეხბურთელები გამოდიან, მინსკელები საკუთარი თუ მეტოქის მინდვრებზე სტაბილური ძალით თამაშობენ, ამიტომაც შეიძლება გარკვეული დასკვნები გამოვიტანოთ ჩვენი გუნდის სასტარტო მზადყოფნის შესახებ.

გ. ჩოხელმა სწორად აღნიშნა: თბილისს „დინამო“ ჩემპიონატის ამ ეტაპზე გაცილებით უკეთ გამოიყურება, ვიდრე შარშან. მოთამაშეები ფიზიკურად საუკეთესოდ არიან მომზადებული, მაქსიმალური ენერგიით, მონდომებით იბრძვიან. თუ შარშან პირველი ორი ტურის შემდეგ გუნდს წაგებათა სვეტში 2 დამარცხება ეწერა და 0 ქულით გათამაშების ცხრილის ბოლოში იმყოფებოდა, ახლა სატურნირო ვითარება რადიკალურად შეიცვალა, ჩვენს გუნდს ორი მოგება აქვს.

ყველაფერი ეს დიდად საიმედო ამბავია და პერსპექტივაც კარგი გვესახება. შეიძლება ისიც ითქვას, რომ თბილისის „დინამო“ თანდათან თავს აღწევს უმძიმეს კრიზისს, პოულობს თავის თამაშს, ყველაფერს ამას ცხადად და ნათლად ვხედავთ.

მაგრამ თავის ნაადრევი დაიმედება და მოჭარბებული ოპტიმიზმი შეიძლება ჩვენთვის საზიანო გამოდგეს. უფლება არა გვაქვს ყველა პრობლემა გადაჭრილად ჩავთვალოთ. შესვენების შემდეგ, როცა მინსკის „დინამო“ დამარცხების წინაშე აღმოჩნდა და მთელი თავისი ძალები გაშალა მდგომარეობის სახსნელად, მასპინძლებს მნიშვნელოვნად გაუჭირდათ. ამ პერიოდში საკმაოდ იყო შეცდომები, განსაკუთრებით დაცვიდან შეტევაზე გადასვლის დროს, გუნდის საერთო სამოქმედო გეგმა დაირღვა, ნახევარდაცვის ხაზი მხოლოდ მომგერიებლის როლში აღმოჩნდა, იგი დროული გადაცემებით ვერ ამარაგებდა თავდამსხმელებს, მძიმე სამუშაო გაუჩნდათ მცველებს.

2 მატჩი — 2 მოგება, 4 ქულა! ეს მეტად პერსპექტიული ციფრებია, მაგრამ უახლოეს ორ ტურში სტუმრად გვიწევს თამაში ლენინგრადის „ზენიტთან“ და მოსკოვის „ლოკომოტივთან“, სტუმრად კი მარტოოდენ მონდომებამ და წინააღმდეგობის გაწევის უნარმა, შესაძლოა, ვერ გვიშველოს, საჭიროა თამაშის კლასის გაუმჯობესება, ცალკეულ ფეხბურთელთა ოსტატობის ამაღლება, გუნდმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაკარგოს კოლექტივიზმის ის მაღალი გრძნობა, რომელიც მან თბილისში ჩატარებულ პირველ ორ მატჩში გამოიჩინა. მინსკელებთან თამაშის მეორე ტაიმის რთულ ვითარებაში, მეტოქის უკიდურესად აქტიური მოქმედების პირობებში მასპინძლებმა შეძლეს ასეთივე ენერგიული კონტრთამაშის დაპირისპირება და შეინარჩუნეს გამარჯვება. ისიც აღსანიშნავია, რომ თბილისელები წონასწორობიდან ვერ გამოიყვანა მსაჯის მიერ 43-ე წუთზე დანიშნულმა ერთობ პრობლემატურმა 11-მეტრიანმა.

თბილისელებმა პირველ წარმატებას 29-ე წუთზე მიაღწიეს, როცა მინსკელთა კარში საჯარიმო დაინიშნა. კეტაშვილმა ძლიერად დაარტყა, მეკარე საცუნკევიჩმა მოასწრო რეაგირება, მოიგერია ბურთი, მაგრამ იგი ძელს მოხვდა, მინდორში დაბრუნდა და აქ ყველას დაასწრო მინდვრის სიღრმიდან სწრაფად შემოჭრილმა სულაქველიძემ — 1:0.

ზუსტად 10 წუთის შემდეგ მინსკელთა ერთ-ერთმა მცველმა თავის საჯარიმო მოედანზე უხეშად წააქცია გურული. პენალტი გურულმა ზუსტად, ძლიერად დაარტყა — 2:0.

მცირე ხნის შემდეგ მსაჯმა 11-მეტრიანი უკვე მასპინძელთა მხარეს დანიშნა. დარტყმა ზუსტად შეასრულა ზიგმანტოვიჩმა — 1:2.

გამარჯვების შენარჩუნება ჩვენი გუნდისთვის მეტად ძნელი იყო, მაგრამ ფეხბურთელებმა ძალები არ დაიშურეს და ყველაფერი გააკეთეს, რათა ქულათა მაქსიმუმით დაემთავრებინათ ჩემპიონატის პირველი 2 ტური.

ეს საბრძოლო განწყობილება თბილისის „დინამომ“ სტუმრად ჩატარებულ მატჩებშიც უნდა შეინარჩუნოს.

ინტერპიუ მატჩის შემდეგ

გ. ზონინი (თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი): ჩვენი გუნდის მოთამაშეები ჯერ არ არიან საუკეთესო ფორმაში. უნდა გაუმჯობესდეს რგოლებს შორის ურთიერთკავშირი, თუმცა, დამეთანხმებით, თბილისის დინამოელებს მონდომება არ დაუკლიათ ვილნიუსელებთან და მინსკელებთან შეხვედრებში. ისინი თავს არ ზოგავენ, ცდილობენ გამოამჟღავნონ შესაძლებლობების მაქსიმუმი, ეს კი იმის საწინდარია, რომ გუნდი მომავალში უკეთ ითამაშებს. შევეცდებით შემდგომშიც არ გავაწბილოთ გულშემატკივრები, რომელთა მხარდაჭერასაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობთ.

ი. სავოსტიკოვი (მინსკის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი): ადრეული გაზაფხულის პირობაზე ორივე გუნდმა კარგად ითამაშა. თბილისელებმა უველაფერი იღონეს გამარჯვების მისაღწევად და ღირსეულად ჩაიწერეს ორი ქულა გათამაშების აქტივში. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო გუნდის ვეტერანის თ. სულაქველიძის კარგი თამაში.

ჩვენს გუნდს ხარვეზები ამ მატჩში საკმაოდ ჰქონდა. არ გაამართლა იმ ორმა შეცვლამაც, რომელიც ჩვენ გამოვიყენეთ. შეხვედრის შედეგზე იმოქმედა სტანდარტული მდგომარეობის მერე გაშვებულმა პირველმა ბურთმაც. რაც შეეხება მსაჯობას, სიმართლე გითხრათ, ყოველთვის ვერიდები არბიტრთა მოქმედების განსჯას, მიმიხვდებით რატომაც. ხომ შეიძლება მსაჯი განაწყენდეს და მომავალ თამაშში...

თასების მფლობელთა თასის 16 მარტის განმეორებით მატჩში ბელგიის „მეხელენთან“ ვეცდებით გავითვალისწინოთ ყველა ის შეცდომა, რომელიც თბილისში გვქონდა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲠᲘᲜᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ... ᲡᲞᲝᲠᲢᲘ!

(დასასრული)

თეატრებს შორის ეწყობოდა სპარტაკიადები. პროგრამაში იყო ჭადრაკი, შაში, სროლა, თევზაობა, სირბილი, მაგიდის ჩოგბურთი და, რაღა თქმა უნდა, ფეხბურთი. ტარდებოდა ერთობლივი შეხვედრები ნონა გაფრინდაშვილთან. მარჯანიშვილის თეატრში ჭადრაკს კარგად თამაშობდნენ იაკობ ტრიპოლსკი, პიერ კობახიძე (პირველთანრიგოსნები), ჰყავდათ ბევრი II და III თანრიგის მოჭადრაკე. უკვე შემდგომ ხელოვნების მუშაკთა სახლი წლების მანძილზე ატარებდა ტურნირებს ჭადრაკში პიერ კობახიძის სახელობის თასზე.

ეს ყოველივე წარსულზე ითქვა. თეატრის მჭიდრო კავშირი სპორტთან დღესაც გრძელდება...

ისევ დიდი ენთუზიაზმით ტარდება შეხვედრები თეატრებს შორის. ფეხბურთს თამაშობენ ტარიელ საყვარელიძე, ბორის წიფურია, გიორგი გეგეჭკორი, კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი, ირაკლი უჩანეიშვილი, სოსო ლაღიძე, ჯემალ მონიავა და სხვები. შეხვედრები გასტროლების დროსაც ტარდება. რუსთაველის თეატრმა იტალიაში გასტროლებზე ყოფნისას ამხანაგური მატჩი გამართა მასპინძელი ქვეყნის თეატრის „რეჯიო ემილიას“ მსახიობებთან და დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვა.

შარშან ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო მარჯანიშვილელთა და რუსთაველელთა შეხვედრამ ფეხბურთში. ეს შეხვედრა — „საუკუნის მატჩი“ — სპორტის სასახლეში გაიმართა 7 მარტს გაზეთ „ლელოს“ პრიზზე. მატჩი ლამის თეატრალურ სანახაობად იქცა, იმდენად ორიგინალურად ჩაიფიქრეს იგი ორგანიზატორებმა. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 3:3. შემდეგ დაინიშნა პენალტების სერია, რომელიც მარჯანიშვილელებმა შედარებით უკეთ შეასრულეს. საბოლოოდ მათ სძლიეს რუსთაველელებს ანგარიშით 5:4 და „ლელოს“ პრიზიც დაიმსახურეს. დაწესებული იყო რამდენიმე სხვა პრიზიც. საუკეთესო მოთამაშისთვის განკუთვნილი პრიზი ბორის წიფურიამ დაისაკუთრა, საუკეთესო მეკარისა — ნოდარ მარგველაშვილმა, ყველაზე ელეგანტური მოთამაშისა — კახი კავსაძემ, ტექნიკური მოთამაშისა — გიორგი გეგეჭკორმა, პერსპექტიული მოთამაშისა კი — გივი ბერიკაშვილმა.

მარჯანიშვილელთა გამარჯვება მოულოდნელი არ ყოფილა: ბოლო წლებში თეატრებს შორის ჩატარებული ყველა სპარტაკიადა მათ მოიგეს. თუმცა, რომელი თეატრის გუნდი გაიმარჯვებს, ამას ხომ არცა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარია, რომ შეხვედრები ისევ ტარდება, ისევ ერწყმის ერთმანეთს თეატრალური სანახაობა და სპორტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტრადიცია ღირსეულად გრძელდება.

თეატრისა და ფეხბურთის გულშემატკივრები, თქვენი თაყვანისმცემლები, რუსთაველელებო და მარჯანიშვილელებო, კვლავ ელოდებიან „საუკუნის მატჩს“. „ლელოს“ რედაქცია კვლავაც მზადაა იტვირთოს ამ მატჩის ჩატარების ორგანიზაცია, მთავარია თქვენგან მივიღოთ დასტური.

მაშ, ველით თქვენს პასუხს.

უჩა მიქაბერიძე,
ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი.

პირდაპირ ვთქვათ სათქმელი

მივეჩვიეთ: თუ მატჩი მასპინძლების სასარგებლოდ დამთავრდა, მსაჯობის მიმართ ყოველგვარ პრეტენზიას გულში ვიკლავთ, ხმას არ ვიღებთ მხოლოდ იმ ერთადერთი მოსაზრებით, რომ „მატჩი მოგებულია, მსაჯები რაღაზე გავანაწყენოთო...“ ცხადია, არის ამაში ლოგიკა და არც თუ უსაფუძვლო, მაგრამ არის ღალატიც, ღალატი პრინციპებისადმი და სინამდვილისადმი, უნდობლობაში რომ გადადის. სიწმინდე და სიმართლე ყველაფერში თუ გვინდა დავამკვიდროთ, ნურც აქ დავკარგავთ ობიექტურობის გრძნობას, სათქმელი უნდა ითქვას და უნდა ითქვას დაუფარავად, პირდაპირ, მიუხედავად მატჩის საბოლოო შედეგისა. ბუტენკომ და ახლა ბარიშნიკოვმა თურმე მსაჯობაში ფრიადი დაიმსახურეს. ვითომ ნამდვილად ასეა? დავხუჭოთ თვალები და გონებიდან ამოვშალოთ ის შეცდომები, რაც ასე უხვად დაუშვეს განვლილ ორ მატჩში ამ არბიტრებმა? ისინი, ვისაც მსაჯთა ბრიგადისა და მათი ხელმძღვანელის შეფასება ეხებათ, არაობიექტურობით, ალბათ, პირველ ყოვლისა, თვით მსაჯებს უწევენ ცუდ სამსახურს — მატჩს შემდეგ არბიტრებს რატომ უნდა დარჩეთ ისეთი რწმენა, რომ უშეცდომოდ იმსაჯეს და ამ რწმენას კიდეც სიტყვიერი მადლობთ რატომ უნდა ვუდასტურებდეთ, „გაუგებარია! იმაზე კი კრინტიც არავის დაუძრავს, თუ რატომ იმყოფებოდა გვერდითი მსაჯი ასე შორს იმ მომენტში, როცა „უალგირისის“ კარში ბურთი გავიდა და ეს „ვერავინ დაინახა“, გარდა მაყურებლისა და ჟურნალისტებისა. რამდენადაც ვიცით, ის, რომ კრიტიკულ მომენტში ადგილზე არ აღმოჩნდებიან ხოლმე, მსაჯებს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაკლად ეთვლებათ, აქ კი... ფრიადი (?!).

იქნებ მსაჯობის პირუთვნელმა შეფასებამ უფრო მეტი სიკეთე მოუტანოს თვით არბიტრებსაც და, საერთოდ, ფეხბურთს. და კიდევ: საჯაროობის დღევანდელ პირობებში ისიც გაუგებარია, რატომ არის აზრთა სხვადასხვაობა ფეხბურთის სპეციალისტებსა და მაყურებლებს, პრესას და სპეციალისტებს შორის. დაყოლიების დრო წავიდა. პრესას და საზოგადოებრიობასაც ხომ აქვს თავისი აზრი. სპეციალისტების ცოდნას დიდად აფასებს და პატივს სცემს საზოგადოებრიობა, მაგრამ ნუ გვიწყენენ სპეციალისტები და ხშირ შემთხვევაში მათი აზრი და ფაქტის შეფასება ეჭვის ქვეშ აყენებს მათსავე კომპეტენტურობას, სპორტის გულშემატკივარში კი იწვევს უნდობლობას. სხვის განსჯას არ მოვყვებით, მაგრამ ჩვენ სტადიონზე რომ ფეხბურთში გათვითცნობიერებული და ობიექტური მაყურებელი დადის, ამაში ალბათ ყველა დაგვეთანხმება. მათაც ხომ უნდა გავუწიოთ ანგარიში, ჩვენი გულშემატკივარი არც ზომიერებას კარგავს, არც სიდინჯეს, ხელაღებით არც მსაჯის აშკარა შეცდომებს აპროტესტებს, რადგან კარგად იცის, ეს უაზრობაა. მაგრამ აი, სპეციალისტების, პრესის და გულშემატკივრების აზრი კი ასე განსხვავებული არ უნდა იყოს, შავის თეთრად მოჩვენება, სხვა თუ არაფერი, დღევანდელ პირობებში ძალზე უხერხულია.

პატივი ვცეთ ერთმანეთს. ამ პრინციპს, მაგალითად, „ლელო“ არ გადაუხვევს, რადგან გაზეთის უპირველესი ამოცანა საზოგადოებრიობისათვის სიმართლის და მხოლოდ სიმართლის თქმა გახლავთ.

გულშემატკივრების ზახელით ვთხოვთ საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს, პირადად მის უფროსს ა. ჭკუასელს გააანალიზოს განვლილი ორი მატჩის მსაჯობის შედეგები და გამოვიდეს პრესაში. ყველაფერი არც ხსეა, როგორც სურთ მოგვაჩვენონ, მით უმეტეს, ვიცით, რომ, ჩვენი სხვა სპეციალისტებისგან განსხვავებით, დინამოელთა უფროსი მწვრთნელი გ. ზონინი ორივე მატჩის მსაჯობით უკმაყოფილო დარჩა.

უფროს თაობას ახსოვს: თბილისში იყო საცხენოსნო მილიცია, რომელიც ფეხბურთის მატჩების დროს „დინამოს“ სტადიონის მისადგომებთან იცავდა წესრიგს, და აი, თითქმის 30 წლის შემდეგ ჩვენ მთავარ სტადიონთან კვლავ გამოჩნდა ცხენოსანთა ოცეული. გამოჩნდა და, როგორც ადრე, რაღაცნაირად კიდევ უფრო გალამაზა ფეხბურთის დღეები თბილისში.

ᲝᲠᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲗᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲚᲔᲘᲚᲐ ᲛᲔᲡᲮᲘ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲨᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘᲐ, ᲬᲧᲕᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲙᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

ამერიკაში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ შინ დაბრუნებულ საბჭოთა ჩოგბურთელებს ახალი გამოცდა ელოდათ. მოსკოვში დაიწყო ქალთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი. პირველ შეხვედრებში ფავორიტებს სათამაშო პირობების შეცვლა (რაც უმთავრესად აკლიმატიზაციით იყო გამოწვეული) აშკარად ეტყობოდათ, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი კალაპოტში ჩადგა და ფინალში მონაწილეობის უფლება უძლიერესებმა მოიპოვეს.

ზამთრის ჩემპიონი გამოვლინდება ნატალია ზვერევასა და ლეილა მესხის შეხვედრაში, რომლებმაც მანამდე ყველა მეტოქე დაამარცხეს. მესხმა, მაგალითად, მერვედფინალში მირზას აჯობა, მეოთხედფინალში — ეშმანოვას, ნახევარფინალში კი სავჩენკოს. ზვერევამ მეოთხედფინალში მანიუკოვა დაამარცხა, ნახევარფინალში — მედვედიევა.

ერთი სიტყვით, სპეციალისტების აზრით ფინალი ერთობ საინტერესო უნდა იყოს. ზვერევა, როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის ბოლო ორი წლის ჩემპიონია და საბჭოთა კავშირის პირველი „ჩოგნადაა“ აღიარებული. მესხმა კი 1986 წელს სწორედ ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი მოიგო. საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები ერთად იყვნენ აშშ-ში და იქ ბევრი საპატიო ორთაბრძოლა მოიგეს.

მესხე და ზვერევა მეორე ფრონტზეც — წყვილთა შეხვედრებშიც წარმატებით იბრძვიან. ყოველ შემთხვევაში თბილისელმა ჩოგბურთელმა მედვედიევასთან დუეტში ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა (მათ ელისეენკო და რიეიკოვა დაამარცხეს — 6:0, 6:1). ნახევარფინალში ითამაშებენ ასევე ზვერევა-სავჩენკო (აჯობეს ხალათიან — ოვსეპიანის წყვილს — 6:1, 6:1), ბიკოვა-პარხომენკო (მოუგეს ბილეცკაია-მირზას დუეტს — 6:3, 6:1) და მანიუკოვა-პოგორელოვა (დაამარცხეს მილვიდსკაია-ეშმანოვა — 6:2, 6:2).

ᲙᲕᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲓᲔ

„ᲞᲠᲐᲕᲓᲐ“ — 7 ᲛᲐᲠᲢᲘ. „თოვლის ფარდის მიღმა“. კინინოვში არ შედგა მოსკოვის „სპარტაკისა“ და კიევის „დინამოს“ მატჩი სეზონის თასზე. რატომ?

„ᲙᲝᲛᲡᲝᲛᲝᲚᲡᲙᲐᲘᲐ ᲞᲠᲐᲕᲓᲐ“ — 12 ᲛᲐᲠᲢᲘ. „უტევენ გულშემატკივრები“. მოსკოვში დაიწყო ქვეყნის ჩემპიონატი მინი ფეხბურთში ამავე გაზეთის პრიზზე. წარმატებით გამოდის თბილისის „ვერა“ — ქართველმა ფეხბურთელებმა პირველი ორი მატჩი მოიგეს.

„ᲢᲠᲣᲓᲘ“ — 10 ᲛᲐᲠᲢᲘ. „სამეურნეო ანგარიში სტადიონზე“. მინსკის საწარმოო გაერთიანება „სტროიმაშის“ მესვეურებმა იპოვეს მასობრივი ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციის ეფექტური საშუალება.

„ᲡᲝᲕᲔᲢᲣᲚᲘ ᲡᲠᲝᲠᲢᲘ“ — 6 ᲛᲐᲠᲢᲘ. „ულმობელი თამაში“? სხვადასხვა. მიზეზების გამო საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ თამაშებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ ხარკოველი ვიქტორ ვაშჩენკო და ერევნელი არსენ ჩილინგარიანი.

12 ᲛᲐᲠᲢᲘ. „ვისთვის ვთამაშობთ, ბიჭებო?..“ სპორტულ სანახობებს თანდათან აკლდება მაყურებელი. რამ გამოიწვია ეს? „შანტაჟი“. „თუ გინდა შვილი ცოცხალი ნახო, მოიტანე თხუთმეტი ათასი...“ ძმები სნოპკოვები დარწმუნებული იყვნენ, რომ ყველაფერი ზუსტად გაიანგარიშეს, მაგრამ...

ᲩᲔᲚᲔᲑᲘᲐᲜ-ᲛᲔᲥᲘᲜᲘᲩᲕᲔᲚᲘ



ᲠᲘᲝ-ᲓᲔ-ᲟᲐᲜᲔᲘᲠᲝ. ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დაასახელა ბრაზილიის სამი ქალაქი (კამპინასი, სან-პაულო, რიო-დე-ჟანეირო), რომლებშიც ჩატარდება 1990 წლის ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი. საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა რუბენ აკოსტამ აქ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ბრაზილიის ნაკრების გარდა ჩემპიონატში თამაშის უფლება მოპოვებული აქვთ აშშ-ს, სსრ კავშირის, ბულგარეთის, კუბის, საფრანგეთის, არგენტინისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს. დანარჩენ რვა ვაკანტურ ადგილს რეგიონალური შესარჩევი ტურნირები გამოავლენს.

ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲝ (ᲐᲨᲨ). როგორც ვიუწყებოდით, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ჩოგბურთში ანდრე ჩესნოკოვმა „გრან პრის“ სერიის ტურნირის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ჩესნოკოვი ახლა ამერიკელ ჯემ ბერგერს შეხვდება. მეორე ნახევარფინალური წყვილი მიროსლავ მეჩირმა (ჩეხოსლოვაკია) და დევიდ პეიტმა (აშშ) შეადგინეს.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი აშშ-ს ფრენბურთელ ქალთა ნაკრები შინ ამხანაგური შეხვედრების სერიას ატარებს ბრაზილიის გუნდთან. ამერიკელებმა ოთხი შეხვედრა უკვე მოიგეს და მხოლოდ ერთი დამთეს ანგარიშით — 2:3.

ᲘᲝᲒᲐ — ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲞᲝᲖᲔᲑᲘ

ᲤᲘᲫᲠᲘᲡ (ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ) ᲞᲝᲖᲔᲑᲘ

აღვწერთ რამდენიმე ყველაზე საჭირო და ძირითად პოზას. ყველა პოზაში საჭიროა ჯდომა, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება კონტროლი გავუწიოთ პოზას და გადავიდეთ სუნთქვის რეგულირებაზე. რაც უფრო მყარია პოზა, მით უკეთესია აზრების თავმოყრა. თუ შეძლებთ თუნდაც 15 წუთი დაჰყოთ პოზაში, მაშინ აზრების მოკრება გაგიადვილდებათ.

თუ პოზა მიიღეთ, იფიქრეთ, ასე: მე ურყევი ვარ, არაფერს შეუძლია ჩემი განძრევა და ...ამ პოზაში ცოცხალ ქანდაკებას დაემსგავსებით. ცოტა ხნის პრაქტიკის შემდეგ მიაღწევთ გაუნძრევლობას და შეძლებთ რამდენიმე საათიც კი დარჩეთ ამორჩეულ პოზაში.



სურათი 1 — სურათი 2

ვარჯიში დაიწყეთ 5 წუთიდან და თანდათან გაადიდეთ ვარჯიშის დრო. თუ ტკივილს იგრძნობთ, მოშალეთ პოზა, მოადუნეთ ფეხები და დაჯექით. ცოტა ხნის ვარჯიშის შემდეგ ტკივილს აღარ იგრძნობთ. უმჯობესია პოზები შეასრულოთ დილას და საღამოს. პოზის მიღების შემდეგ დახუჭეთ თვალები და ეცადეთ მზერა და ყურადღება მიმართოთ წარბებს შორის წერტილზე. შემდეგ მზერა მიმართეთ ცხვირის ბოლოზე და სცადეთ თქვენი აზრებიც აქეთკენ მიმართოთ. ვინც შეძლებს ყურადღების მიმართვას ამ წერტილზე, შეუძლია ის მიმართოს სხეულის ნებისმიერ სხვა წერტილზეც (თავში, გულზე, კისერზე და ა. შ.). გამართული იჯექით. ეცადეთ თავი, კისერი და ტანი ერთ სწორ ხაზზე გეჭიროთ. სასურველი არ არის პოზების შეცვლა, ერთი და იმავე პოზის რამდენიმე ვარიანტის შესრულება. ეცადეთ ერთი პოზა შეასრულოთ რაც შეიძლება სრულყოფილად და მყარად, იგი მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ეფექტური.

გაგრძელება. იხ. „ლელო“ 1987 წლის №№ 205, 210, 215, 220, 225, 229, 234, 239, 244, 248; 1988 წლის № 3, 7, 12, 17, 22, 27, 32, 37.

ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲞᲝᲖᲐ. ᲡᲣᲠ. 1

ქუსლები ერთმანეთს შეახეთ, იდაყვებით დაეყრდენით მუხლებს, ხელის გულები ერთმანეთს მიაჭირეთ, ნიკაპით ოდნავ დაეყრდენით შეერთებული ხელების თითების ბოლოებს, რაც ამოსუნთქვის დროს თავის შეკავების საშუალებას მოგცემთ.

ᲡᲘᲛᲔᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲐ. ᲡᲣᲠ. 2

დაჯექით. ფეხები გადაჯვარედინეთ, ხელები ჩამოუშვით. მარცხენა ხელით მარჯვენა ფეხის თითები დაიჭირეთ, მარჯვენა ხელით კი — მარცხენა ფეხის თითები. ეს პოზა შეანაცვლეთ სხვა პოზებს, ხშირად დაუბრუნდით მას, რადგან ეს საშუალებას მოგცემთ ტანის ზედა ნაწილი სწორად გეჭიროთ.

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲐᲓ ᲚᲝᲢᲝᲡᲘᲡ ᲞᲝᲖᲐ, ᲡᲘᲓᲘᲓᲘᲡᲐᲜᲐ. ᲡᲣᲠ. 3.

ეს ლოტოსის პოზის მოსამზადებელი ფაზაა, დაჯექით იატაკზე. ზურგი გაასწორეთ, ფეხები გაჭიმეთ. მარჯვენა ფეხის ტერფი დაიდეთ მარცხენა ფეხის ზედა ნაწილზე, შემდეგ ამოძრავეთ მარჯვენა მუხლი ზემოთ და ქვემოთ, ეცადეთ მუხლით იატაკს შეეხოთ. თუ მარჯვენა ფეხის დადება მარცხენაზე გაგიჭირდათ, დადეთ იგი იატაკზე ისე, რომ ტერფი მარცხენა ფეხს ეხებოდეს, ფეხი იატაკზე დააჭირეთ. ეს პოზა ყოველდღე შეასრულეთ რამდენიმე წუთის განმავლობაში. თუ ამ პოზას დაეუფლეთ, თავისუფლად და უმტკივნეულოდ შეძლებთ ლოტოსის პოზის შესრულებას. პოზის მიღების შემდეგ ჩაისუნთქეთ, ამოსუნთქვისას წინ გადაიხარეთ და ხელები მარცხენა ფეხის თითებს, ქუსლს ან კოჭებს მოკიდეთ, მარცხენა მუხლი არ მოხაროთ. ამ მდგომარეობაში რამდენიმე წამს დარჩით, შემდეგ ნელა დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. გაიმეორეთ იგივე 2-3-ჯერ. შემდეგ შეასრულეთ ვარჯიში მეორე ფეხით.

ნახევრად ლოტოსის პოზა ეფექტური საშუალებაა რადიკულიტის წინააღმდეგ. იგი აუმჯობესებს ხერხემლის ტონუსს, ამაგრებს ფეხების კუნთებს.

ᲚᲝᲢᲝᲡᲘᲡ ᲞᲝᲖᲐ, ᲞᲐᲓᲛᲐᲡᲐᲜᲐ. ᲡᲣᲠ. 4.

ეს იოგების ცნობილი პოზაა. მარჯვენა ტერფი დაიდეთ მარცხენა ბარძაყის ზედა ნაწილზე, შემდეგ კი მარცხენა ტერფი — მარჯვენა ბარძაყზე. ხელები თავისუფლად დაიწყვეთ მუხლებზე ისე, რომ ხელისგულები მუხლებს ფარავდნენ ან ზევით იყოს მიმართული.

თუ ვერ შეძლებთ ერთდროულად ორივე ფეხით შეასრულოთ ეს პოზა, მაშინ ჯერ ერთი ფეხით ივარჯიშეთ. ამ შემთხვევაში მეორე ფეხი იატაკზე გაჭიმული უნდა გქონდეთ.

ლოტოსის პოზას ძალიან ადვილად ასრულებენ ბავშვები და ახალგაზრდები. ხანში შესულები ცოტაოდენი ვარჯიშის შემდეგ ითვისებენ.

ᲞᲐᲠᲛᲝᲜᲘᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲐ. ᲡᲣᲠ. 5

მარჯვენა ფეხი გაჭიმულია, მარცხენა — მოხრილია და მარჯვენაზეა გადატარებული, ხელების თითები ერთმანეთზეა გადაჭდობილი, მათ მარცხენა ფეხის მუხლი უჭირავთ. ტანის ზედა ნაწილი გასწორებულია, იგი თავისუფალია, მოშვებული.



სურათი 3 — სურათი 4

სურათი 5

ᲔᲤᲔᲥᲢᲘ. ეს პოზა ხელს უწყობს საშვილოს მონელებას, აძლიერებს ჰამის მადას, განამტკიცებს ნერვულ სისტემას.

აზროვნების გასავითარებელი პოზებია: ძროხის სახის პოზა, ალმასის პოზა, კეთილშობილი პოზა.

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

(გაგრძელება იქნება)

ᲛᲔᲢᲘ ᲨᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘᲡ მეგობრებს — ქარგადა-ცნობილ ო�პუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს ეკგენია ალექსანდრეს ახალი ვერძიშვილის სახელი. იგი წლების განმავლობაში თბილისის, საქართველოსა და ამერიკაკავკასიის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი იყო (მონაწილეობდა 1928 წლის საკავშირო სპარტაკიადაში), ხოლო შემდგომში ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი მწვრთნელი სპორტის ამ სახეობაში. საკმარისია ითქვას, რომ ე. ვერძიშვილამ თავის მეუღლესთან, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელ ირამ ხანგულიანთან ერთად მოამზადა ისეთი შესანიშნავი ოსტატები, როგორნიც იყვნენ ალექსანდრე მეტრეველი, ვიქტორ ურაევსკი, ვიკა კოკაია, რენა ბუაანდაძე, ძმები ლეონარდ და ნუგზარ მძინარიშვილები და სხვა.

ე. ვერძიშვილამ 87 წლის ასაკს მიაღწია. განათლებით ინჟინერი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი მუდამ აქტიურად მონაწილეობდა ჩვენს სპორტულ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დიდი სიყვარულითა და ენერგიით იღვწოდა ჩოგბურთელთა აღზრდისათვის.

ე. ვერძიშვილამ ჯერ კიდევ 1932 წელს დაიწყო სპორტულ-პედაგოგიური საქმიანობა, როდესაც განათლების ბავშვთა ჯგუფებს ავარჯიშებდა. მისმა და მისი ცოლეგების ენერგიულმა მეცადინეობამ ნაყოფი გამოიღო — ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი ჩოგბურთელები, როგორც წესი, მუდამ სპარიზო ადგილებს იკავებდნენ მონწვევლთა საკავშირო სპარტაკიადებზე. ამიტომაც იგი რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდებასთან ერთად დაჯილდოვეს წარჩინებული ფიზკულტურელისა და სახალხო განათლების წარჩინებულის საპატიო ნიშნებით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ.

ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲐᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲨᲨ-ს მძლეოსანთა კავშირმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებები სეულის ოლიმპიადისათვის მოსამზადებლად. გამოყოფილია თანხა (364 ათასი დოლარი) 26 საუკეთესო სპორტსმენის საწვრთნელი შეკრებებისათვის. მათ შორის არიან კარლ ლუისი, ვალერი ბრისკოჰოოკსი, ედვინ მოზესი და ჯეკი ჯოინერ-კერსი. თითოეული ამ 26 სპორტსმენთაგანი მიიღებს ჰონორარს — 14 ათას დოლარს.

ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 13 ᲛᲐᲠᲢᲘ. რიტმული ტანვარჯიში — **9.15 (1);** „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.20 (1);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) — **19.00 (2);** სპიდვეი. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი (გადაცემა ჰოლანდიიდან) — **20.45 (2);** სსრ კავშირის ზამთრის ჩემპიონატი ჩოგბურთში ქალთა შორის — **0.50 (2).**

14 ᲛᲐᲠᲢᲘ. საფეხბურთო მიმოხილვა — **11.15 (1).**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 13 ᲛᲐᲠᲢᲘ. საფეხბურთო მიმოხილვა — **22.40.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ �რᲐᲓᲘᲝ. 13 ᲛᲐᲠᲢᲘ. რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — **14.30.**

რედაქტორი
თ. ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲑᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ“, ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔ ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ (19-20 ᲛᲐᲠᲢᲘ)

		ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ		
სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ (ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ)				
1. „ნეტალისტი“ (ხარკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)	19.III	20	70	10
2. „დინამო“ (კიევი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	19.III	50	10	40
3. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი)	19.III	60	20	20
4. „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	19.III	20	50	30
5. „ცალგირისი“ (ვილნიუსი) — „დინამო“ (მოსკოვი)	19.III	60	20	20
6. „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (თბილისი)	19.III	70	20	10
სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲨᲐᲘᲑᲘᲐᲜ ᲰᲝᲙᲔᲘᲨᲘ (ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ)				
7. „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი) — „ბიმეკა“ (ვოსკრესენსკი)	19.III	60	20	20
8. „ტრაქტორი“ (ჩელიაბინსკი) — „სპარტაკი“ მოსკოვი)	19.III	20	10	70
სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲨᲘ (ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ)				
9. „მოსკვიჩი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (ლვოვი) ქ. თბილისში	19.III	30	20	50
10. „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) ქ. თბილისში	19.III	60	20	20
11. „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (ალმა-ათა) ქ. ძერჟინსკში	19.III	30	20	50
სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ (ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ)				
12. „დინამო“ (მინსკი) — „ნეფთჩი“ (ბაკო)	20.III	70	20	10
13. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „არარატი“ (ერევანი)	20.III	50	30	20

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის გულშემატკივართა კლუბის წევრთა საყურადღებოდ!

ა/წლის 16 მარტს, ოთხშაბათს, 19 საათზე თბილისის „დინამოს“ სტადიონის საკონფერენციო დარბაზში მოეწყობა შეხვედრა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელობასთან.

დასწრება იწარმოებს გულშემატკივართა კლუბის წიგნაკებით, შეგახსენებთ, რომ კლუბში მიღება გაგრძელდება შაბათს და კვირას, 19 და 20 მარტს, 10 საათიდან 14 საათამდე სტადიონის პრესცენტრში.

ინდექსი 86435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ნოშარაულის ქ. 29. УЭ 05246